„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

# კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2024 წელი ● №2 (9569-70) ● 1-29 თებერვალი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში




წარმოგიდგენთ ჩვენი საქმიანობის 2023 წლის შედეგებს - თუ რა გაკეთდა, შემდგომი განვითარების რა პერსპექტივები შევქმენით და რას ვგეგმავთ სამომავლოდ.

მნიშვნელოვან წინსვლას აბსოლუტურად ყველა სფეროში მივაღწიეთ. ამ სიტყვების უტყუარობას კი არა მხოლოდ ციფრები, არამედ ჩვენი საქმიანობის კონკრეტული შედეგებიც მოწმობენ.

სოციალური პროგრამებით და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის სექტორების განვითარებით და ხელმისაწვდომობით, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისებით, ჩვენი მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი, შედეგზე ორიენტირებული გუნდური მუშაობით - ყველა სფეროში გვაქვს მნიშვნელოვანი შედეგები.

ჩვენთვის პრიორიტეტი საზოგადოებიდან წამოსული ინიციატივებია. ჩვენ ღიად ვსაუბრობთ არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებზე.

ვთვლი, რომ მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებასა და განახლებაში თითოეულმა სენაკელმა უნდა მიიღოს უშუალო მონაწილეობა. ეს პროცესი კი შეუქცევადია.

წინ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე და პროექტი გველის.

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში სხვა წლებისგან განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. თავდაპირველად მერი მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლებს შეხვდა და გააცნო წლის მანძილზე მერიის მიერ განხორციელებული სამუშაოები. ბოლოს შემაჯამებელი ანგარიშით ფართო საზოგადოებრივი სპექტრის, მერიის, საკრებულოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლების წინაშე წარსდგა და გაანალიზა თვითეულ სეგმენტში არსებული მიღწევები.

გთავაზობთ ანგარიშის სრულ ვერსიას

## ბიუჯეტი და ფინანსები

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 19 746 100 ლარით, რაც 2022 წელთან შედარებით, 3 849 900-ით მეტია.

ბიუჯეტის დაზუსტებულმა წლიურმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 36 858 972 ლარი შეადგინა; 11 თვეში შემოსულია 29 316 027 ლარი, ანუ 79,5 %.

წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი სახსრების ნაშთი - 5 273 940 ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიიმართა.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით 2023 წლის 11 თვეში დაფინანსდა:**

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 16 347 276 ლარით;

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 178 970 ლარით;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 3 325 863 ლარით;

განათლება - 3 228 430 ლარით;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 726 505 ლარით;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4 099 015 ლარით;

თავდაცვა - 101 993 ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი 22 274 600 ლარს შეადგენს, რაც 2023 წელთან შედარებით, 2 528 500 ლარით გაიზარდა.

**2024 წელს დაფინანსება გაიზრდება:**

დასუფთავება და გარემოს დაცვა - 288 000 ლარით;

განათლება - 900 900 ლარით;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 210 400 ლარით;

მმართველობა და საერთო დანიშნულება - 215 500 ლარით;

**2024 წელს გაიზრდება შემდეგი სოციალური პროგრამების დაფინანსება:**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა - 25 800 ლარით;

მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა - 45 500 ლარით;

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 37 000 ლარით;

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა - 48 000 ლარით;

ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა - 1 000 ლარით;

სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა - 30 000 ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 20 000 ლარით;

სოციალური ღონისძიებების პროგრამა - 6 000 ლარით;

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა - 100 000 ლარით;

დღის ცენტრის - "ლაზარე-2015" თანადაფინანსების პროგრამა - 2 000 ლარით;

პროექტის - ,,საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" თანადაფინანსება - 2 641 ლარით;

პროექტის - "ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე" თანადაფინანსება - 12 100 ლარით.



# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(გაგრძელება)









## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მხარდაჭერა

2023 წელს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის 17 პროგრამით, 1 737 764 ლარის ფარგლებში, დახმარება გაეწია 32 970 მოქალაქეს. მათ შორის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში - 28 100-მა, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში - 4 870 მოქალაქემ ისარგებლა.

2023 წელს, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით, 425 991 ლარის ფარგლებში, 1012-მა მოქალაქემ ისარგებლა;

მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით, 84 213 ლარის ფარგლებში - 1005-მა მოქალაქემ;

დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამით - 946-მა მოზარდმა, ფაქტიური ხარჯი - 3 500 ლარი;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობს 200 ბენეფიციარი, პროგრამის ფაქტიური ხარჯი - 312 762 ლარი;

მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების ქვეპროგრამით, 99 მრავალშვილიან ოჯახს, 219 550 ლარის ფარგლებში, გაეწია ყოველთვიური დახმარება;

ბავშვზე ზრუნვის პროგრამით დახმარება გაეწია დედ-მამით ობოლ და იშვიათი დაავადების მქონე 10 მოზარდს; აღნიშნული პროგრამით განხორციელდა 22 სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა, ფაქტიური ხარჯი - 19 878 ლარი;

სარიტუალო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, დახმარება გაეწია დევნილთა და ვეტერანთა 42 ოჯახს, ფაქტიური ხარჯი - 12 900 ლარი;

ხანძრის შედეგად დაზარალებულ 7 მოქალაქეს, 23 000 ლარის ფარგლებში, გაეწია ფინანსური დახმარება;

სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიების გატარების პროგრამის ფარგლებში - ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 17 უსახლკარო, განსაკუთრებულად მძიმე სოციალური პირობების მქონე პირს, რეინტეგრირებული მოზარდის ბიოლოგიურ ოჯახს; აღნიშნული პროგრამით ისარგებლა ძალადობის 4-მა მსხვერპლმა, ფაქტიური ხარჯი - 34 300 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამით, 96 515 ლარის ფარგლებში, დახმარება 173 ბენეფიციარს გაეწია;

სოციალური ღონისძიების პროგრამით 360-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, ფაქტიური ხარჯი - 41 100 ლარი;

თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამით სარგებლობს 26 ბენეფიციარი, პროგრამის ფაქტიური ხარჯი - 50 400 ლარი;

დღის ცენტრის - "ლაზარე-2015" - თანადაფინასების პროგრამით 15 ბენეფიციარი სარგებლობს, ფაქტიური ხარჯი - 6 000 ლარი;

პროექტის - ,,საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის" - ქვეპროგრამით დახმარება გაეწია 907 მოქალაქეს, პროექტის ბიუჯეტი - 36 700 ლარი;

პროექტის - "ვიზრუნოთ უფროს თაობაზე" ფარგლებში, მომსახურება გაეწია 25 ხანდაზმულ მოქალაქეს, პროგრამის ფაქტიური ხარჯი - 77 388 ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამის სერვისებით ისარგებლა 28 238-მა მოქალაქემ, პროგრამის ბიუჯეტი - 305 800 ლარი.

**2023 წელს, პირველად დაინერგა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა;**

ამ ეტაპისთვის, პროგრამით 19 მოზარდი სარგებლობს, ბიუჯეტი - 72 000 ლარი;

დაფინანსდა პროექტი - "საჭიროების მქონე ბავშებისათვის ADOS -ის კვლევა დანერგვა მუნიციპალიტეტში";

სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო - საქართველოში პირველი და ერთადერთი ორგანოა, რომელსაც გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი;

საბჭომ, საგრანტო კონკურსის - ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების წევრთა იდეების მხარდაჭერა და შემოსავლების გენერირება, შშმ პირთა საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა'' ფარგლებში, 3 პროექტი - 2 ბიზნეს-იდეა და შშმ პირთა სფეროში მოქმედი ორგანიზაცია დააფინანსა;

სოციალური ღონისძიების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის 105 წლისთავზე, სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 337 ვეტერანს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება.

**ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების 2024 წლის ბიუჯეტი 2 199 500 ლარს შეადგენს.**

პროექტის - "საჭიროების მქონე ბავშებისთვის ADOS -ის კვლევის დანერგვა მუნიციპალიტეტში" ფარგლებში, არა მარტო სენაკის მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი სამეგრელოს მასშტაბით, რისკის მქონე მოზარდებისთვის, ხელმისაწვდომია ,,ოქროს სტანდარტად" აღიარებული ADOS -ის კვლევის ადგილზე ჩატარება, დიაგნოზის დროული დასმა და მკურნალობა/რეაბილიტაცია;

18 წლამდე მოზარდებისა და ონკოლოგიური პაციენტების სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობა სრულად ფინანსდება - დაფინანსების ზედა ზღვარი 1 200 ლარამდე გაიზარდა;

ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიო, იმუნო და ჰორმონოთერაპიული მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება 1 500 ლარამდე გაიზარდა;

გაიზარდა 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი მოზარდების დახმარება და ყოველთვიურად, ერთ ბავშვზე, გაიცემა 300 ლარი;

სოციალურად დაუცველ ერთ წლამდე ბავშვებზე გასაცემი ხელოვნური საკვებით დაფინანსება 120 ლარამდე გაიზარდა;

**2024 წელს, სენაკში დაგეგმილია დიალეზის ცენტრის გახსნა.**

## საგზაო ინფრასტრუქტურა

**მეტი ახალი გზა**

2023 წელს დაიგო 47 კმ. ახალი გზა;

2024 წელს დაგეგმილია 35 კმ. გზის მშენებლობა.

**2023 წელს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, განხორციელდა:**

სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის და ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 4 500 გრძ. მ-ზე;

ზანა-ეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 3 079 გრძ.მ-ზე;

მენჯისა და თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი - რეკა-ბათარიას გზის რეაბილიტაცია, ჩიხებით - 2 008 გრძ.მ-ზე;

გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის მიმართულებით არსებული გზის რეაბილიტაცია - 1 907გრძ.მ-ზე;

ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში - საკილასონიოს უბნის გზის რეაბილიტაცია - 3 660 გრძ. მ-ზე; საბესელიოს უბნის გზის რეაბილიტაცია - 2 446 გრძ. მ-ზე;

ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულში - ლეკირცხალიეს უბნის გზის რეაბილიტაცია და მილხიდების მოწყობა - 2 044 გრძ.მ-ზე; ლესაჯაიეს უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 457 გრძ.მ-ზე;

მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - საკირცხალიო-საკერძაიოს უბნის გზის რეაბილიტაცია - 3 854 გრძ. მ-ზე;

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში - გახომელას უბნის გზის რეაბილიტაცია - 2 376 გრძ.მ-ზე;

ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხიდიდან სტადიონამდე მისასვლელი გზის მოწყობა - 1 575 გრძ. მ-ზე;

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულში - სოფელ საგაბესკირიოს გზის რეაბილიტაცია - 720 გრძ. მ-ზე;

უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში - ცემენტობეტონის საფარის 1 259 გრძ.მ-ზე მოწყობა;

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ცემენტობეტონის საფარის 1 348 გრძ.მ-ზე მოწყობა.

**ქალაქად:** 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია - 1 116 გრძ. მ-ზე; ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია - ჭყონდიდელის ქუჩიდან ყოფილი გაზის კანტორამდე - 214 გრძ. მ-ზე. საერთო ღირებულებით - 10 424 325 ლარი.

## ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა:

მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საბარკალაიოს უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 310 გრძ. მ-ზე;

ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საოდიშარიოს უბნის გზის რეაბილიტაცია - 1 186 გრძ. მ-ზე;

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის საარჩაიო-ზედა სორტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1 150 გრძ. მ-ზე;

ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 300 გრძ. მ-ზე;

ეკის საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 172 გრძ. მ-ზე;

შონიას ქუჩის რეაბილიტაცია - 283 გრძ. მ-ზე;

არჩაიას ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია - 178 გრძ. მ-ზე;

საერთო ღირებულებით - 1 232 160 ლარი.

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

## სახელმწიფო პროგრამა ,,განახლებული რეგიონები"

**რა გაკეთდა**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული მასშტაბური პროგრამის - ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ქალაქ სენაკს 2 განახლებული, მრავალფუნქციური, რეკრეაციული სივრცე შეემატა.

**პროექტის ფარგლებში განხორციელდა:**

რუსთაველის ქუჩაზე არსებული ცენტრალური სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია;

ქალაქის ცენტრალური პარკის გამწვანება;

მოეწყო მოსასვენებელი სივრცეები: ღია ამფითეატრი, საბავშვო და სპორტული მოედნები, ატრაქციონები;

განახლდა საფეხმავლო ბილიკი;

რეაბილიტირდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ისტორიული შენობის ექსტერიერი;

პარკის მიმდებარედ არსებული კორპუსების ფასადები და სახურავები.

პროექტი გათვლილია ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე და სრულად არის ადაპტირებული შშმ პირებზე.

მასშტაბური სახელმწიფო პროგრამა, ღირებულებით - 6 200 000 ლარი, საქართველოს მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

**რა კეთდება**

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალური მოედნის მოწყობა-რეაბილიტიის სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა: დეკორატიული განათების სისტემა, წყალსარინები - ღია და დახურული კომუნიკაციები, დასასვენებელი ატრაქციები, რეკრეაციული სივრცეები, სენაკის საპატიო მოქალაქის, ,,ღიმილის ბიჭის", ,,ბოლოკას" - გოჩა ლომიას სკულპტურა.

პროექტის ღირებულება - 488 265 ლარი.

პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქს, ყველა თაობისთვის გათვლილი, კიდევ ერთი რეკრეაციული სივრცე შეემატება.

**ერთად განვაახლოთ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, მიმდინარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 286-290 კმ-ის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 7 195 000 ლარი;

ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი გზის 76-86კმ-ის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 12 687 614 ლარი;

სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის შიდასახელმწიფოებრივი გზის 15-20კმ-ის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 8 649 500 ლარი;

ნოქალექევი-ლეძაძამე-დიდი ჭყონის შიდასახელმწიფოებრივი გზის მე-2, მე-11 და მე-17 კილომეტრებზე, დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია, ღირებულებით - 4 263 000 ლარი.

**რა გაკეთდება**

სენაკი-სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის შიდასახელმწიფოებრივი გზის კმ0-კმ4 რეაბილიტაცია







## საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში

**რა გაკეთდა**

**მომავალი განათლებაშია**

2023 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, **რეაბილიტირდა** არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის საჯარო სკოლა, ღირებულებით - 1 298 000 ლარი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, **მიმდინარეობს** ნოსირის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, ღირებულებით - 1 596 830 ლარი;

ჟიული შარტავას სახელობის №2 და უშაფათის საჯარო სკოლების **სრული რეაბილიტაცია;**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით - ხორშის საჯარო სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, ღირებულებით - 2 100 000 ლარი.

საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს N3 საბავშვო ბაღის მშენებლობა, ღირებულებით - 4 073 214 ლარი;

ლეძაძამეს, ძველი სენაკის, ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულების საბავშვო ბაღების მშენებლობა, საერთო ღირებულებით - 3 830 000 ლარი.




## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2021 - 2023 წლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 146 პროექტი განხორციელდა; ღირებულებით - 2 270 709 ლარი.

2023 წელს 31 პროექტი განხორციელდა; სახელმწიფოსგან - 738 000 ლარი და თანადაფინანსებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 21 200 ლარი გამოიყო;

**მოსახლეობის სასურველი პროექტების განხორციელებას 759 200 ლარი მოხმარდა.**




## სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა

**2023 წელს, პროგრამის ბიუჯეტი 150 000 ლარამდე გაიზარდა.**

გაციფრულდა სენაკის მუნიციპალიტეტის საუკუნოვანი გაზეთ ,,კოლხეთის" ძველი ნომრები - 1950 წლიდან 1990 წლამდე;

მიმდინარეობს: ქალაქის ცენტრალური სკვერების ინტერნეტიზაცია, ღირებულებით - 43 190 ლარი; ჭავჭავაძის N37-ის მიმდებარედ - დასასვენებელი სივრცის და საბავშვო ატრაქციონის მოწყობა, ღირებულებით - 50 000 ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა 2022-ის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას 2 პროექტი შეემატა: ამფითეატრი - ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში; განახლებული ტროტუარები - ქალაქაქ, აღმაშენებლის ქუჩაზე; საერთო ღირებულებით - 100 000 ლარი.

## 2023 წელს განხორციელდა:

მშვიდობის ქუჩის N214-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადის და ეზოს კეთილმოწყობის პროექტი;

სტალინის ქუჩაზე - კეთილმოწყო მრავალბინიანი კორპუსის ეზო;

რუსთაველის N166, N231, N239, N170, N245, N247, N251, N182 -სა და წმინდა ნინოს N11, N12-ში - მოეწყო წყალსადინარი სისტემა;

რეაბილიტირდა N2 ბაგა-ბაღისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობების სახურავები; საერთო ღირებულება - 499 191 ლარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 279 978 ლარი;

ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 154 456 ლარი;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით - 87 099 ლარი.

განახლდა ბანერი - ჭყონდიდელის ქუჩაზე; რეაბილიტირდა სტენდის დაფა - ჭავჭავაძის ქუჩაზე; საერთო ღირებულებით - 30 898 ლარი.

რეაბილიტირდა მგზავრთა მოსაცდელი - რუსთაველისა და ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე, ღირებულებით - 30 175 ლარი.

მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი - ზემო ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ღირებულებით - 7 295 ლარი.




მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უსაფრთხოების მიზნით, მიმდინარეობს ზოგადი ხედვის ვიდეო სამეთვალყურეო ქსელური კამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობ ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ,,ა" ტიპის ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 556 000 ლარი.

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(გაგრძელება)












## სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები

**2023 წელს, ქარიშხლის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების 14 კორპუსი სრულად გადაიხურა:**

დევნილთა დასახლების N188, N190, N202-სა და N205-ში; შალვა დადიანის ქუჩის N4-ში; აკაკი ელიავას ქუჩის N21-ში; ღვინჯილიას ქუჩის N5-ში; ურიდიას ქუჩის N26-ში; ცაგარელის ქუჩის N25-სა და N27-ში; ჭყონდიდელის ქუჩის N4-ში; შოთა რუსთაველის ქუჩის N170-ში; ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ სახარბედიოში; საერთო ღირებულებით - 1 155 489 ლარი.

**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კორპუსები რეაბილიტირდა:** ნაფეტვარიძის ქუჩის N1-ში; რუსთაველის ქუჩის N126-ში; სტალინის ქუჩის N52-ში; ქიაჩელის ქუჩის N47-ში; ვაჩნაძის ქუჩის N3-ში; მშვიდობის ქუჩის N319-ში; თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ტყირში; საერთო ღირებულებით - 83 813 ლარი.

**რეაბილიტირდა:** ახალსოფლის, ნოსირის, მენჯის, გეჯეთის ადმინისტრაციული შენობები; თეკლათის, ზანის, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულების საბავშვო ბაღების; მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის; გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულის ამბულატორიის შენობების სახურავები; საერთო ღირებულებით - 26 692 ლარი.

**სრულად რეაბილიტირდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის მეექვსე საბავშვო ბაღის, ლედაძამეს ადმინისტრაციული შენობების სახურავები; საერთო ღირებულებით - 160 628 ლარი.

რეაბილიტირდა ქარიშხლის შედეგად დაზიანებული გარე განათების სისტემა, ღირებულებით - 100 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის N115 განკარგულებით გამოყოფილი 208 000 ლარიდან, სტიქიური მოვლენების (ქარიშხლის) შედეგად დაზარალებულ 460 ოჯახს, საკომპენსაციო თანხები გამოეყო.

2023 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში, 2022 წლის 22 ივნისის სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 3 100 000 ლარის ფარგლებში, განხორციელდა სანიაღვრე სისტემის, რკინა-ბეტონის ჯებირების აღდგენა-რეკონსტრუქციის, ხიდების, ხიდ-ბოგირების გაბიონების მოწყობის მასშტაბური სამუშაოები;

აღდგენილ იქნა 2023 წლის 14-15 მაისის სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურულ ობიექტები: ხიდ-ბოგირი - ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ხიდი - ეკის ადმინისტრაციული ერთეულის საჯოლიოს უბანში, გაბიონი მოეწყო - არჩაიას ქუჩაზე, საერთო ღირებულებით - 112 209 ლარი.

მიმდინარეობს 2023 წლის 11-17 ივლისის სტიქიის (წყალდიდობა) შედეგად დაზიანებული 45 ინფრასტრუქტურული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროცედურები, საერთო ღირებულებით - 2 220 000 ლარი.

## მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები

**განახლებული საცხოვრებელი გარემო**

2023 წელს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით, მდინარე რიონზე - სამ ლოკაციაზე, მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა.

მათ შორის: ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის საგვიჩიოს უბანში, ღირებულებით - 4 888 888 ლარი;

ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში, ღირებულებით - 1 360 990 ლარი;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ტყირში, ღირებულებით - 3 988 888 ლარი;

შედეგად, საგრძნობლად შემცირდება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დატბორვის და ნაპირის ჩამოშლის საშიშროება.

## სამელიორაციო და დაშრობითი სამუშაოები

**2023 წელს, შპს "საქართველოს მელიორაციის" დაფინანსებით, სამელიორაციო და დაშრობითი სამუშაოები განხორციელდა 5 ადმინისტრაციულ ერთეულში** - ნოსირში, ზემო ჭალადიდში, თეკლათში, მენჯსა და ნოქალაქევში; ღირებულებით - 159 801 ლარი.

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - 20 კმ-მდე არხი, ღირებულებით - 40 237 ლარი;

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - 17 კმ-მდე არხი, ღირებულებით - 95 046 ლარი;

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში - 1,5 კმ-იანი არხი, ღირებულებით - 6 974 ლარი; ასევე მოეწყო ხიდბოგირი, ღირებულებით - 4 335 ლარი;

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში - 1,5 კმ-იანი არხი, ღირებულებით - 7 050 ლარი;

ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში - 1,28 კმ-იანი არხი, ღირებულებით - 6 159 ლარი.

## სანიაღვრე სისტემის და ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტები

**2023 წელს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა:**

მშვიდობის ქუჩის 56 და 58 საცხოვრებელ სახლებს შორის არსებული ღელეს ჯებირების რეაბილიტაციის პროექტი;

სილოვან შამათავას ქუჩაზე - სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, საერთო ღირებულებით - 572 585 ლარი.

დამცავი ბარიერი მოეწყო ლედძამეს ადმინისტრაციული ერთეულის ლეგოგიეს უბანში, ორმული შეკეთების სამუშაოები - ქალაქის მასშტაბით, საერთო ღირებულებით - 126 428 ლარი.

## ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა:

სანიაღვრე არხის ჯებირის რეაბილიტაცია - სილოვან შამათავას ქუჩაზე, კიუვეტის და სანიაღვრე არხის ჯებირების რეაბილიტაცია - მშვიდობის ქუჩაზე, ხიდბოგირის მოწყობა - თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანსა და ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოტიანეთში, რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა - თაყაიშვილის ქუჩაზე, ცერცვაძის ქუჩის მეორე ჩიხსა და ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისულაში, ხიდ-ბოგირის აღდგენა - ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოტიანეთში, ჭაბურღილის მოწყობა - ნოქალაქევის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღში, დამცავი ჯებირების მოწყობის II და III ეტაპის სამუშაოები - ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე, საერთო ღირებულებით - 505 736 ლარი.

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

## ავტოპარკის განახლება, გარე განათებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის პროექტები

**2023 წელს - განახლდა ავტოპარკი;**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ JCB-ის მარკის მრავალფუნქციური ტრაქტორი შეიძინა; ექსკავატორ-დამტვირთველი, ღირებულებით - 259 246 ლარი, სარგებლობაში სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრს გადაეცა.

,,მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები" ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ", სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, 3 ნაგავმზიდი და პიკაპის მარკის 3 სატვირთო მანქანა, 350 კონტეინერი, ასევე, სხვადასხვა ზომის 100 კონტეინერი, ქუჩის (მცირე ზომის) 249 ურნა და უნიფორმები გადასცა.

2023 წელს, გარე განათების ქსელი განახლდა ქალაქის 200-ზე მეტ ქუჩასა და მუნიციპალიტეტის 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში;

გაგრძელდა სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და არხების ამოწმენდის მასშტაბური სამუშაოები.




## გაზიფიცირება

**რა გაკეთდა – 2023 წელს, გაზსადენის ქსელზე დაერთების სამუშაოები განხორციელდა:**

ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულის 6 სოფელში - ლეძაძამეში, ბეთლემში, კვაუთში, ლეგოგიეში, ლესაჯაიესა და ჯოლევში;

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის 6 სოფელში - ბათარიაში, პერტულში, საგაბესკირიოში, საწულეისკირიოში, სახარბედიოსა და სკურიაში;

გაზსადენის ქსელზე დაერთდა 462 აბონენტი, ღირებულება - 243 800 ლარი.

**რა კეთდება – გაზგაყვანილობის სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს:**

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის 4 სოფელში - ხორგიშში, მუხურში, საგვიჩიოსა და სირიაჩქონში;

ეკის ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელში - საცხვიტაოში, საადამიოში, ეკში, შრომისკარსა და საგუნიოში;

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის 2 სოფელში - გოლასკურსა და რეკაში.

**გაზგაყვანილობის საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს:**

ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელში - ფოცხოში, ლეგოგიეში, ნასაჯუში, მოხაშსა და მეორე მოხაშში;

ხორშის ადმინისტრაციული ერთეულის 6 სოფელში - შუა ხორშში, დიდ ხორშში, პატარა ზანაში, საადანაიოში, საგუგუნავოსა და ციზეთში.

**რა იგეგმება** – 2024 წლიდან, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გაზიფიცირების 2022-2024 წლების გეგმის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 18 სოფელში, გაზსადენის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.




## წყალმომარაგების პროექტები

**რა კეთდება**

წყალმომარაგების საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს:

მენჯის და მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულებში;

ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის საგადელიოს უბანში;

პროექტს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის შესაბამისად, შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ახორციელებს.

**რა იგეგმება**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია რეგიონებში მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის დაგეგმილი პროექტების განხორციელებას აქტიურად განაგრძობს.

ქალაქ სენაკისა და მიმდებარე სოფლების 24-საათიანი წყალმომარაგებისთვის საჭირო სამუშაოებზე ტენდერი გამოცხადდა.

პროექტის სავარაუდო ღირებულება 45 მილიონ ლარზე მეტია, სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

დაგეგმილი პროექტის ფარგლებში მოეწყობა წყალსადენის ახალი ქსელი, მაგისტრალური მილსადენი, ჭაბურღილები, საქლორატორო, რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ რეზერვუარს. პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ სენაკის სოფლებს - ნოსირს, შუა ნოსირს, მეორე ნოსირს, ახალსოფელს, საბესელიოს, საკილასონიოსა და საოდიშარიოს მოსახლეობა 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.





## ტურიზმი

**მუნიციპალიტეტი ჩართულია პროექტში - PACA, რაც გულისხმობს კონკურენტული უპირატესობის ამაღლებას თანამონაწილეობის გზით;**

პროექტი ხორციელდება ეროვნულ სამუშაო ჯგუფთან - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობით და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

**რა იგეგმება** – სენაკის მუნიპალიტეტში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების/ობიექტების პასპორტიზაცია;

ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება;

წლის ნებისმიერ სეზონზე აქტუალური და მოთხოვნადი ტურისტულ-საინფორმაციო პროდუქტის - ბრენდირებული ტურისტული რუკის მომზადება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების - შხეფისა და საკალანდარიშვილოს ციხეებზე - განათების ახალი სისტემისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;

სენაკის მუნიციპალიტეტის ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, მდინარე ტეხურის ხეობაში, ეკოტურისტული, მარკირებული, საერთაშორისო სტანდარტებითა და თანმდევი ინფრასტრუქტურით (მანიშნებლები, საპიკნიკე და საკემპინგე ზონები) საფეხმავლო ბილიკის მოწყობა.




## სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა

სახელმწიფო პროგრამის - "დანერგე მომავალი" ფარგლებში, გაშენდა 70 ჰექტარი მრავალწლიანი კულტურების ბაღი: ლურჯი მოცვი, დაფნა, ტყემალი;

პროგრამის ფარგლებში გაშენდება 80 ჰექტარამდე მრავალწლიანი კულტურების ბაღი.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: 9 ფერმა, 6 სასათბურე მეურნეობა, მზის ენერგიაზე მომუშავე 3 ელექტროსადგური.

თხილის წარმოების სახელმწიფო პროგრამით ისარგებლა 2000-ზე მეტმა ფერმერმა; შეღავათიანი აგროკრედიტით - მიწის 300-ზე მეტმა მესაკუთრემ.

მიმდინარეობს მეთხილე ფერმერთა ხელახალი რეგისტრაცია, ასევე - შეღავათიანი აგროკრედით მოსარგებლე ფერმერთა დაფინანსების პროცესი.

**რა გაკეთდა**

2023 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტი შეუერთდა მერების შეთანხმების (№CoMEast) იმ ათასობით ადგილობრივი თვითმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლის მიზანია ევროკავშირის კლიმატის და ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების განხორციელება.

პროექტის ფარგლებში, ,,მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმები, მერების შეთანხმების ახალი ხელმომწერი მუნიციპალიტეტებისთვის", შემუშავდა სენაკის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა.

სოფლის მეურნეობისა და ქალთა ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა პროექტი - "დამწყები მეფუტკრე"; ბენეფიციარს გადაეცა ფუტკრის ოჯახები და სათანადო ინვენტარი.

მოეწყო 2 აგროტური; პროექტის ფარგლებში, მეწარმეები და ფერმები, ქალაქ ფოთში - თემის განვითარების ჰაბს "დიოსკურიას", ქალაქ ბათუმში - ,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრს - გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობას, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახინჯაურში - "ზერიძეების ღვინის მარანს", მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახუნაოში - ეგზოტიკური ფრინველებისა და ცხოველების ფერმას, აგროტურისტულ ლოკაციას - საოჯახო სასტუმროს ,,სახლი ხეზე" ესტუმრნენ და მათ საქმიანობას გაეცნენ.

სენაკელმა მეწარმეებმა და ფერმერებმა მონაწილეობა მიიღეს ისეთ გამოფენებსა და ფესტივალებში, როგორიცაა - სახალხო დღესასწაულები: ,,თბილისობა", ,,ეგრისობა", "გაიგე მეტი" - ყველის ფესტივალი მთაწმინდის პარკში.

ეგრისობა 2023-ის ფარგლებში, ,,გასტრონომიულმა კულტურის მუზეუმმა" და მუზეუმის დამფუძნებელმა, ესმა კუნჭულიამ გააცოცხლეს ,,ისტორია თეფშზე" - საფუძველი ჩაეყარა 4 ისტორიული კერძის აღდგენის ტრადიციას; ყველის მკვლევარმა, ანა მიქაძე-ჩიკვაიძემ, წარმოადგინა პროექტი - ,,ამბავი ქართულ ყველზე".

**რა იგეგმება**

**სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა** -სექტორში არსებული ვითარების ანალიზი და ფერმერების საჭიროებების გამოვლენა, რათა განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებები;

პროგრამის - ,,სოფლად მცხოვრები ქალების და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება უფრო მდგრადი ეკონომიკისთვის" - დანერგვა;

**ქარსაფარი ზოლების მოწყობა** - შედეგად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მნიშვნელოვნად შემცირდება როგორც ნიადაგის დეფლიაციის, ისე სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე უარყოფითი გავლენის პროცესი; ასევე, სასურველ შედეგს მოიტანს სავარგულების მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის საჭირო ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემოს ფორმირების მხრივაც.

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

## განათლებისა და კულტურის ხელმისაწვდომობა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის პატრონაჟით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და ხელოვნების აკადემიის რექტორის, მსოფლიოში აღიარებული პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილის ორგანიზებით, მე-10 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - ,,სენაკის არტ-ფესტი 2023" გაიმართა.

მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა-კონცერტები: ცნობილი ქართველი მომღერლების - ნატო მეტონიძისა და ლიზა ბაგრატიონის; სუხიშვილების პრიმა მოცეკვავის, თეა დარჩიას და ,,თედასელების"; კლასიკური და ფოლკლორული ჟანრის სიმღერებისა და კომპოზიციების ვირტუოზული











შესრულებით საყოველთაოდ ცნობილი რუსთავის კაპელას და გუნდის ხელმძღვანელის, მთავარი დირიჟორის, თამარ ბუაძის; მანანა დოიჯაშვილის სახელობის საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მერვე კონკურსის გამარჯვებულთა, ახალგაზრდა შემსრულებლების და გუნდების მონაწილეობით;

კლასიკური მუსიკის საღამო - ფესტივალის დამაარსებლისა და სამხატვრო ხელმძღვანელის, ვალერიან შიუკაშვილისა და ავსტრიელი პიანისტის, მოცარტის VIII საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელის, გაბრიელ ტრიტრემელის მონაწილეობით;

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ბათუმის კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორის, ირინა ხერჟის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორის, თამარ ბულიას მასტერკლასები.

ფესტივალის ჟიურიმ, ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, მოუსმინა საქართველოს მასშტაბით, 50-მდე სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის 3 000-ზე მეტ მოსწავლეს. მათგან ლაურეატის წოდება მიენიჭა - 100-ზე მეტ შემსრულებელს, გუნდსა და შემოქმედებით ჯგუფს; 2000-მდე მონაწილე - საპატიო დიპლომით, ხოლო 700-ზე მეტი - სიგელით დაჯილდოვდა.

სენაკში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტისა და ფოთის მერიების მხარდაჭერით, რეგიონული თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა.

ფესტივალის სენაკური დღეების ფარგლებში გაიმართა: აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრალური დასის სპექტაკლის "რომეო და ჯულიეტა" პრემიერა; ,,ოტელოს" ორიგინალური თოჯინური ვერსიის პრემიერა - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრალური დასის მონაწილეობით; ,,კორიონალუსის" პრემიერა - ირანის თეატრალური დასის მონაწილეობით; ცნობილი რეჟისორის, ბრანდეის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის, დიმიტრი ტროიანოვსკის თეატრალური ხელოვნების მასტერკლასი - ,,მაკბეტი ახლა".

2023 წელს აღინიშნა: ალექსობა - 100; საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეული;

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა, პირველად, არსებობიდან 142 წლის შემდეგ, რუსთაველის ეროვნული თეატრის სცენაზე, ჟან-ბატისტ მოლიერის ,,ჰარპაგონი" წარმოადგინა;

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში - ახალშობილთა დედებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები, ანსამბლ ,,შვიდკაცას" და ტელეწამყვან, ზურა ბალანჩივაძის მონაწილეობით გაიმართა ქალაქური სიმღერების საღამო;

ჩატარდა გამოჩენილი ქართველი ებრაელი მწერლის, ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 79 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული;

გაიმართა ანსამბლ ,,ქუჩის მუსიკოსების'' კონცერტი - ,,ქუჩის მუსიკოსები და მეგობრები";

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და ,,თბილისის განათლებისა და კულტურის ცენტრის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა - ქართული თეატრის დღისა და ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 84 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ,,ქართული კულტურა საბჭოთა ოკუპაციის პირისპირ", თეატრმცოდნისა და ტელეწამყვანის - ნიკოლოზ წულუკიძის, ცნობილი ქართველი მხატვრის - გია გუგუშვილის მონაწილეობით;

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და საქართველოს საგუნდო საზოგადოების სამეგრელოს ფილიალის ინიციატივით, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლაში, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის პირველი შესარჩევი ტური გაიმართა;

ჩატარდა სამუსიკო სკოლის პედაგოგის, გოჩა ჯგერენაიას სოლო კონცერტი;

,,თავისუფლების სიყვარულით..." - 26 მაისის აღსანიშნავად გაიმართა სხვადასხვა სახის გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები, გამოფენები, თემატური საღამოები;

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და ხელოვნების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში - მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციის - ,,ორნი აქა იქ" პრემიერა;

აღინიშნა - აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე; 34-ე 9 აპრილი; საუკუნოვანი გაზეთ ,,კოლხეთის" 100 წლის იუბილე; ,,HELLADOS - გაკვეთილი" პრემიერა - აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის თეატრალური დრამატული ხელოვნების სკოლა-სტუდიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში; ფაშიზმზე გამარჯვების და ევროპის დღეები; ინტელექტუალურ თამაში - ,,რა? სად? როდის"; ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, სენაკის საპატიო მოქალაქის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ტრადიციული ფესტივალ-კონკურსი ,,კუჩხიბედინერი - 2023" - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის სენაკის ორგანიზაციის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია ,,კუჩხიბედინერის" ორგანიზებით; ეროვნული სამოსის დღე; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული; ,,არტ აუდიტორია-2023" - სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის პროექტის ,,საზაფხულო სკოლის" ფარგლებში; ,,მომავლის არქიტექტორები 2023" - სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის პროექტის ,,ხელოვნების საკვირაო სკოლა" ფარგლებში; 15 წელი აგვისტოს ომიდან; ვეტერანთა დღე; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული - "მუსიკალური საღამოები სენაკში"; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და საქართველოს რუსთაველის საზოგადოების სენაკის ორგანიზაციის ორგანიზებით - ,,ვეფხისტყაოსნის" დღე;

საღამო - შეხვედრა მონატრებულ ქალაქთან და მსმენელთან - სენაკმა უმასპინძლა ქართული თეატრალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელს, მურმან ჯინორიას. საღამოს უძღვებოდა თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი, ნიკოლოზ წულუკიძე. აკომპანირებას უწევდა პიანისტი, ნიკა ნიკვაშვილი და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლინო, ლელა მჭედლიძე.

გაიმართა ვაჟთა ანსამბლ ,,მუსიკელის" შემოქმედებითი საღამო; შეხვედრა ,,კოლხურ ტრიოსთან";

ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით გამართული აქტივობები - ფერების ფესტივალი, ანიმატორების და ექსპერიმენტორიუმის მეცნიერული შოუ;

შემოდგომისა და საახალწლო კვირეულები, სასკოლო მზაობის აღსაზრდელთა გამოსაშვები აქტივობები - სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების პროექტების ფარგლებში;

გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის კონკურსის - "მწვანე ჯილდო" ფინალისტთა ათეულში გავიდა და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები/საქართველოს რჩეულის ტიტული წილად ხვდა სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების N6 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელს, თამარ ქანთარიას;

სენაკის მუნიციპალიტეტი თბილისობის სახალხო დღესასწაულს წელს, მეორედ, შეუერთდა - ,,კოლხური სოფელში" შედგა სენაკის საპატიო მოქალაქის, მსოფლიოში აღიარებული გამოჩენილი მხატვარ-ფერმწერის, ემელიანე (რეზო) ადამიას ნამუშევრების გამოფენა - ,,მეგრული ოდები", გამოიფინა ადგილობრივი მეწარმის, ვენერა ხახუბიას თექაზე დამზადებული

(გაგრძელება გვ. 7)

# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

ნამუშევრები, ადგილობრივ მეწარმეთა - ვენერა ლიპარტიას და ნინო ქავთარაძის პროდუქცია, გაცოცხლდა სამეგრელოს კუთხის ყოფა, გაიმართა ელარჯისა და სულუგუნის მომზადების მასტერკლასები, კონცერტი - ფოლკლორული ანსამბლების -,,მუსიკელის" და ,,გოგალაის" მონაწილეობით;

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ინგლისურენოვანი საკვირაო სკოლის ორგანიზებით - მიუზიკლის ,,მერი პოპინსი" პრემიერა გაიმართა;

სოხუმის დაცემის და საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას გმირული აღსასრულიდან 30-ე წლისთავს მიეძღვნა თემატური საღამოები;

პირველად აღინიშნა მასწავლებლის ეროვნული დღე - ქართველი შემსრულებელის, ნეკა სებისკვერაძის, ბენდის, მსახიობის და ტელეწამყვანის, კახა მიქიაშვილის მონაწილეობით;

,,ეგრისობის" სახალხო დღესასწაულის ფარგლებში - სენაკელი მხატვრების - ჰაიკო და ანრი გახარიების ნამუშევრების პერსონალური გამოფენა; ესმა კუნჭულიას ,,გასტრონომიული მუზეუმი" - ,,ისტორია თეფშზე"; ანა მიქაძის - ,,ამბავი ქართულ ყველზე"; ყველის, ღვინის, თაფლის დეგუსტაცია, მასტერკლასები; ადგილობრივი მეწარმე ქალების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საჯარო სკოლების და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობით - შემოდგომის კუთხე, მეგრული სამზარეულო, დეგუსტაცია, გამოფენები; ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების ჩართულობით - საბავშვო სივრცე, ჩირების ნაირსახეობა, ნახატების გამოფენა, ხატვის მასტერკლასები, ცენტრებთან არსებული ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ჯგუფების კონცერტი; მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს კუთხე - ,,იმოგზაურე წარსულში", სპორტული აქტივობა - ქართული ჭიდაობა; ვიდეორგოლის: ,,ერთად განვაახლოთ სენაკი" - სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია; 2023 წლის საპატიო სენაკელების დაჯილდოება; გალა კონცერტი -,,შვიდკაცას", ,,ქართული ხმების", ,,თეატრალური კვარტეტის", ,,ალილოს" ,,ფორტეს", დავით მაზანაშვილის ბენდის მონაწილეობით;

მხატვრის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ლადო გუდიაშვილის ტილოს - ,,ზეიმი ქართლში'' – 30 წლის შემდეგ, სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში დაბრუნება, რომელიც სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით განხორციელდა.

**საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში:** განახლდა პროექტი - ,,საბავშვო არქეოლოგია", რომელიც საქართველოს მასშტაბით, ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ და მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში ხორციელდება. სასწავლო-შემეცნებით პროექტის მონაწილე 225 მეშვიდეკლასელს ,,ნორჩი არქეოლოგის" სერთიფიკატი და საველე დღიური გადაეცა.

2023 წელს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა: აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრალური დასის სპექტაკლების - ,,რომეო და ჯულიეტა'', ,,ჩიპოლინოს თავგადასავალი '' - სადადგმო ხარჯები; ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების - ,,მუსიკელის" და ,,გოგალაის" გასტროლები - ლიტვასა და ტალინში.







## სპორტის განვითარებისთვის

2023 წელს, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, 3 მინი სპორტული მოედანი მოაწყო.

ყოფილი მე-8 სკოლის მიმდებარედ მინი სპორტული მოედანი - მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მოეწყო. პროექტის ღირებულებამ 109 882 ლარი შეადგინა;

ვაჩნაძის ქუჩაზე ახალი სპორტული მოედნის მოსაწყობად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 110 241 ლარი, მშვიდობის ქუჩაზე, ახალრეაბილიტირებული მეოთხე საბავშვო ბაღის მიმდებარედ კი - 105 554 ლარი გამოიყო;

რეაბილიტაციის ფარგლებში, დამონტაჟდა ხელოვნურსაფარიანი მოედნები, კალათბურთის ფარები, გარე განათების სისტემა, შემოღობვის კონსტრუქციები და სხვა;

ტრენაჟორები, ღირებულებით - 44 440 ლარი, დამონტაჟდა ჭავჭავაძის ქუჩაზე.

მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - ქალაქის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე, ღირებულებით - 497 777 ლარი.

**2024 წელს დაგეგმილია 3 სპორტული მოედნის მოწყობა.**

2023 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პატრონაჟით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-ის"თამაშები - გეზრბენში (ამანათრბენში), 3X3 კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ბადმინტონში, მინი ფეხბურთში და "მხიარული სტარტები";

სენაკის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული გუნდების ტრანსპორტირება და შესაბამისი ეკიპირებით უზრუნველყოფა, რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა.

სენაკის სპორტის ისტორიაში, პირველად, მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების თექვსმეტწლამდელ კალათბურთელთა გუნდმა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებულის ტიტული და A ლიგის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოყვარულ ფეხბურთელთა ტურნირი - "მოყვარულთა თასი 2023"-ის სენაკის მუნიციპალური ეტაპი ჩატარდა;

რეგიონალურ ეტაპზე გამარჯვებული გუნდის ტრანსპორტირება და ფორმებით უზრუნველყოფა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა.

„7x7 ფეხბურთის ასოციაციის" ორგანიზებით გამართულ რეგიონალურ ტურნირზე - 7x7-ზე ფეხბურთში, მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული გუნდის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, სასპორტო გაერთიანების სპორტსმენების დროული და კომფორტული გადაადგილებისთვის, FORD-ის მარკის ახალი მიკროავტობუსი შეიძინა, რისთვისაც, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 149 650 ლარი გაიხარჯა.

გაიმართა დამსახურებული სპორტსმენის, საქართველოს რაგბის დამოუკიდებელი ფედერაციის ფუძემდებლის, სენაკის საპატიო მოქალაქის, დავით კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ბავშვთა სარაგბო ფესტივალი;

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ევროპის ორგზის პრიზიორის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების მონაწილის, სენაკელი სპორტსმენის, კახაბერ ჟვანიას სახელობის ღია ტურნირი კრივში;

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების - თამაზ ვახანიას და შოთა ჯავახიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი კრივში;

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის ოსტატის, გოჩა ტყებუჩავას და სენაკელი მოჭადრაკის, ნინო ჯანჯღავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საჭადრაკო ტურნირები;

ბეჭდაუდებელი ფალავნის, ნესტორ ესებუას სახელობის ღია ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

კოკა ნარმანიას სახელობის ღია ტურნირი კალათბურთში;

საქართველოს 30-ე ჩემპიონატი კიკბოქსინგში; ნარდის ტურნირი.

სენაკის მუნიციპალიტეტსა და შპს "დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.



# სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ გადელიას 2023 წლის ანგარიში

(დასასრული)

## ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერა

**2023 წელს დაინერგა სტუდენტების ხელშეწყობის დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამა,** რომლის ფარგლებში, სოციალურდ დაუცველი, დედ-მამით ობოლი და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე 12 სტუდენტი დაფინანსდა.

შეიქმნა 2023-2026 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომლის ორგანიზებით გაიმართა: საინფორმაციო შეხვედრები-მუნიციპალიტეტის ზოგადსაგამანათლებლო სექტორში; ტრენინგები - ,,არაძალადობრივი კომუნიკაცია"; შემეცნებითი და გასართობი აქტივობები.

ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა: ფეინთბოლის ჩემპიონატი; ბოლო ზარი 2023 - ცნობილი შემსრულებლების - აჩიკო ბერიძის და არჩილ ცანკაშვილის, DJ Cover-ის, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულთა მონაწილეობით.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და ახალგაზრდობის სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში - ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკს, წელს, პირველად, 15 სენაკელი ახალგაზრდა შეუერთდა.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მომსახურების სააგენტოს და სენაკის მუნიციპალიტეტების მერიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში - საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, საერთაშორისო ბანაკს სენაკში მცხოვრები, აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები შეუერთდნენ.

**2023 წელს, პირველად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით - შეიქმნა მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმა;**

**USAD HICD-ის ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების ცენტრის ორგანიზებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით - სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.**




## 2023 წელს ფულადი ჯილდოები გადაეცათ წარმატებულ სენაკელ სპორტსმენებს.

გიორგი ქვარცხავას - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს 15 წლამდელთა ნაკრების წევრს - ევროპის ჩემპიონატზე, ვიცე-ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის;

გიორგი ჩხიკვაძეს - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ფალავანს - საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის;

მარიამ სიჭინავას - ძიუდოში საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის;

16 წლამდელ კალათბურთელთა გუნდს და მწვრთნელ-მასწავლებელს, შოთა კუჭავას - საქართველოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებულის ტიტულის და A ლიგის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისთვის;

ლაშა ჯოლოგუას, ოთო დემურიას, ნიკოლოზ წურწუმიას, საბა ფხაკაძეს, უშანგი და ცოტნე მიშველაძეებს - ტაეკვანდოს მსოფლიო ჩემპიონატში (ICTF) მიღწეული წარმატებისთვის.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ტიტულოვანი სენაკელი სპორტსმენები დააჯილდოვა: 2023 წლის საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენის წოდება მიენიჭა გია ლატარიას - ვეტერან სპორტსმენს, მსოფლიო თასის ხუთგზის ჩემპიონს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირებზე - 8-ჯერ პირველი საპრიზო ადგილის მფლობელს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს;

წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება მიენიჭა გიორგი ჩხიკვაძეს - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ფალავანს, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონს, ჭაბუკებს შორის ორგზის ევროპის პრიზიორს, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ვიცე ჩემპიონს, ევროპის ორგზის პრიზიორს, ასევე ევროპის ორგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს, საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ტიტულის მფლობელს;

წლის საუკეთესო ლეგიონერი სპორტსმენის წოდება მიენიჭა გიორგი დავითაიას - უცხოეთში მოღვაწე სენაკელ ფალავანს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორს, შავი ზღვის თამაშების ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებულს;

წლის საუკეთესო მოსწავლე სპორტსმენის წოდება მიენიჭა გიორგი ქვარცხავას - ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეს, საქართველოს ორგზის ვიცე-ჩემპიონს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გიორგი, ბერძნულ-რომაული სტილით 15 წლამდელ მოჭიდავეთა შორის, პირველი სპორტსმენია ჩვენი ქალაქიდან, ვისაც წილად ვიცე-ჩემპიონის ტიტული ხვდა;

წლის საუკეთესო გოგონა სპორტსმენის წოდება მიენიჭა ანანო კინწურაშვილს - წარმატებულ ძიუდოისტს, საქართველოს ჩემპიონს, აფხაზეთის თასის ჩემპიონს, ევროპის თასის პრიზიორს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს;

2023 წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდება მიენიჭა მწვრთნელ-მასწავლებელს, რამაზ კოკაიას.

**სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა: მოჭადრაკე, გიორგი ჭანტურია - მოსწავლეთა შორის მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად;**

საქართველოს ვეტერან ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, სენაკელი სპორტსმენი, ელგუჯა გვასალია - ძიუდოში - ვეტერანთა შორის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე და სამბოში - ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად.

უზრუნველყო „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024"-ის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ეტაპის ყველა სახეობაში მონაწილე სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდების ტრანსპორტირება და შესაბამისი ეკიპირება.

**2023 წელს ფულადი ჯილდოები გადაეცათ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ სენაკელ ახალგაზრდებს:**

2023 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი გრანტის მფლობელ სენაკელ კურსდამთავრებულებს: კესო კილასონიას, სალომე ძიგუას, დეა სალაყაიას, ილონა ცინარიძეს, გიორგი მზარელუას, გიორგი ჟვანიას, ნიკოლოზ და ზურაბ წირქვაძეებს;

N1 საჯარო სკოლის 2023 წლის კურსდამთავრებულს, ლიზი გვაძაბიას, რომელიც სრული დაფინანსებით ჩაირიცხა უნგრეთში, Pეცს უნივერსიტეტში (University of pecs), არქიტექტურული ინჟინერიის მიმართულებით;

N1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეს, ანასტასია ჯანაშიას - საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგსა და გერმანიის ქალაქ შტუდგარდში გამართულ გაეროს პროექტში - ,,ლიდერი ახალგაზრდებისთვის" წარმატებული მონაწილეობისთვის;

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს: ნანა ჩიტაიას, მარიამ ანთიას, გიორგი შამათავას და სენაკის ქართულ-ევროპული სკოლის მოსწავლეს, ანა ნარსიას - მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX) გამარჯვებულის სტატუსისა და აშშ-ში ერთლიანი სწავლების უფლების მოპოვებისთვის;

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის კურსდამთავრებულებს: ანა შამათავას და ნინი ქათამაძეს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში - „ბავშვები თანასწორობისთვის"- 80 კონკურსანტს შორის, პირველი ადგილის მოპოვებისთვის.

**ჩვენ უკეთესი სენაკისთვის!**
**ჩვენი ქალაქის განვითარებისათვის!**
**ერთად განვაახლოთ!**










სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჯავჯავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33